sakasacio
saCivari
administraciul saqmeze

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

kasatori: *შენიშვნა-1*

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

თბილისი, სანაპიროს ქ. N4

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-2*

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-3* სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

2145368

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

kasatoris warmomadgeneli: *შენიშვნა-4*

თეიმურაზ მეშველიანი

სახელი, გვარი, ადვოკატის სიაში ნომერი პირადი ნომერი ძირითადი მისამართი

თბილისი, სანაპიროს ქ. N4

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

2145368

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

mowinaaRmdege mxare: *შენიშვნა-5*

1. ასოციაცია მწვანე ალტერნატივა.
2. დავით სახვაძე

1. ს/ კ 204952676
2. პ/ნ 60001004285

1. თბილისი. ფალიაშვილის ქ. N27/29, ბინა 013.
2. თბილისი. საიათნოვას ქ. N1

სახელი, გვარი (სახელწოდება) პირადი (საიდენ.) ნომერი ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) *შენიშვნა-6*

ალტერნატიული მისამართი სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

sakontaqto piri: *შენიშვნა-7*

სახელი, გვარი სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მიგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

...

gasaCivrebuli gadawyvetileba

შენიშვნა-9

სასამართლოს დასახელება: თბილისის სააპელაციო სასამართლო
მომხსენებელი მოსამართლე: [illegible]
საქმის ნომერი: 3ბ/1125-14
მიღების თარიღი: 2015 წლის 2 მარტი

gadawyvetilebas vasaCivreb:

srulad ☐

nawilobriv ☒

რომელ ნაწილში?

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის არ დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში.

შენიშვნა-10

sakasacio moTxovna (ganacxadi):

ვთხოვთ წარმოებაში მიიღოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი. გააუქმოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 მარტის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შენიშვნა-11

kasaciis safuZvlebi (mizezebi)

gasaCivrebuli gadawyvetilebis gauqmebis absoluturi safuZvlebi

შენიშვნა-12

მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი:

- ☐ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით;
- ☐ სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება;
- ☐ გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- ☒ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული;
- ☒ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;
- ☐ გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- ☐ გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ;
- ☐ საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლოს სხდომის ოქმი.

დასაბუთება: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიყენა ის სამართლებრივი ნორმები რომლებიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა ის სამართლებრივი ნორმები რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი და მიიღო იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

darRvevebi, ris gamoc unda gauqmdes saapelacio sasamarTlos gadawyvetileba

შენიშვნა-13 შენიშვნა-14

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 2 მარტის განჩინებით (საქმე N 3ბ/1129-14) არ დაკმაყოფილდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება თუ სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიყენა ის სამართლებრივი ნორმები რომლებიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა ის სამართლებრივი ნორმები რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ასევე არასწორად განმარტა კანონი და მიიღო იურიდიულად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და საქმეზე მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება. ამასთან, სამინისტროს მიაჩნია საქმე მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის

ჩამოყალიბებისთვის და სააპელაციო ინსტანციის მიერ მოცემულ საქმეზე „დაინტერესებული მხარის" ცნების განმარტება არსებითად ეწინააღმდეგება სამართლებრივ თეორიასა თუ პრაქტიკაში დღემდე არსებულ განმარტებებს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანებით შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისია", რომელსაც დაევალა შეესწავლა ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების სამართლებრივი საფუძვლები და შეემუშავებინა საჭირო რეკომენდაციები.

„საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით „საქართველოს სსრ 1997 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისთვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე". აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გამოცემული იყო მხოლოდ იმ მოტივით, რომ 1999 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" რომლის 77-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა მანამდე მოქმედი საქართველოს სსრ 1977 წლის კანონი „ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ", რის შედეგადაც ნორმატიული აქტების შესახებ 1996 წლის საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა ყველა ის კანონქვემდებარე აქტი, რომელთა გამოცემაც მოხდა 1997 წლის „ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის საფუძველზე, მათ შორის ის აქტები, რომელთა მიხედვით კონკრეტული ობიექტები გამოცხადდნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებად, კერძოდ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ივლისის N212, 1982 წლის 6 მაისის N339, 1983 წლის N274, 1985 წლის 20 მარტის N179, 1986 წლის 14 ნოემბრის N706, 1989 წლის 5 მაისის N212 დადგენილებები, ქალაქ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1988 წლის 10 მარტის N06.22.185. გადაწყვეტილება, ქალაქ ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1987 წლის 14 აგვისტოს და 21 აგვისტოს N748 და N430 დადგენილებები, ასევე ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 25 მარტის N01.19.19. დადგენილება. იმის გამო, რომ ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულ ობიექტებს არ ჰქონდათ დაკარგული მხატვრული და კულტურული ღირებულება, „საქართველოს სსრ 1997 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანებით მათ მიენიჭათ (პრაქტიკულად კი აღუდგათ) კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი ამავე ბრძანების დანართში მოყვანილი ნუსხის მიხედვით. მოცემულ დანართში, ბოლნისის რაიონის ობიექტების ნუსხაში აღმოჩნდა აგრეთვე „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროც", თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ ბრძანების გამოცემის მომენტისთვის ხსენებული ობიექტი არცერთ ზემოაღნიშნულ ძალადაკარგულ სამართლებრივ აქტში არ იყო აღნუსხული როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. შესაბამისად „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" დანართში მოხვედრა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების მიზნებს, რადგან ობიექტი არ წარმოადგენდა ბრძანების რეგულირების საგანს და აბსოლუტურად

უსაფუძვლოდ, ყოველგვარი სამართლებრივი წინაპირობების გარეშე შეტანილ იქნა ზემოთხსენებულ სამართლებრივ აქტში. აღნიშნული ქმედება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევაა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს და დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ასევე დარღვეულია იმ დროს მოქმედი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებდა, რომ ძეგლის სტატუსი უძრავი ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტს უნდა მინიჭებოდა მხოლოდ კომისიის დასკვნის საფუძველზე, რაც ფაქტობრივად არ განხორციელებულა. შესაბამისად ამკარაა, რომ „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მინიჭებული ჰქონდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების დარღვევით. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, გაიზიარა სააპელაციო სასამართლომაც, როდესაც გადაწყვეტილების 4.15. პუნქტში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია ის გარემოება, რომ „საქართველოს სსრ 1997 წლის კანონის „ისტორიისა და კულტურული ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო" არ ყოფილა გამოცხადებული ისტორიისა და კულტურის ძეგლად.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე დასტურდება, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების გამოცემისას არ იყო უფლებამოსილი მოცემული ბრძანების დანართში აესახა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო" შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების არსებობისა და პროცედურების გავლის გარეშე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლებამოსილების გადამეტებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მიღებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად აქტის გამომცემი ადმინისტრაციულ ორგანო უფლებამოსილია ბათილად სცნოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოცემული ნორმების ურთიერთშეჯერების შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო დაეცვა კანონმდებლობა და განეხორციელებინა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და ბათილად ეცნო კანონდარღვევით მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც განახორციელა კიდეც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანების გამოცემით.

აბსოლუტურად მცდარია სააპელაციო სასამართლოს მიერ განჩინების 4.18. პუნქტიდან 4.29. პუნქტამდე ჩამოყალიბებული მსჯელობიდან გამოკვანილი დასკვნა იმ გარემოების შესახებ,

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ქ. თბილისი, ბოჭორიძის ქ. 12, 0144
ვებ-გვერდი: www.hcoj.gov.ge; ელ. ფოსტა: council@hcoj.gov.ge

რომ „ძეგლის რაობის განსაზღვრის უფლებამოსილება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, წარმოადგენს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს უფლებამოსილებას და მისი დასკვნის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, ხოლო მინისტრის ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისია არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს, როგორც უძრავი ძეგლის სტატუსთან დაკავშირებით. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის მონაცემების შეფასება მისი ისტორიული ან კულტურული ღირებულების განსაზღვრის მიზნით, წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს უფლებამოსილებას, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის ექსპერტებითა და საზოგადო მოღვაწეებით". ის გარემოება, რომ ობიექტისთვის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისას და სტატუსის მოხსნისას საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს დასკვნის არსებობა სამინისტროს არასდროს გაუხდია სადავოდ, ვინაიდან აღნიშნული დანაწესი პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით, მაგრამ აბსოლუტურად უსაფუძვლოა მოცემული მსჯელობიდან გამოტანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ თითქოს მინისტრის ბრძანებით გამოყოფილმა კომისიამ ფაქტობრივად შეითავსა საბჭოს ფუნქცია, რისი უფლებაც მას არ გააჩნდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის N03/82 ბრძანების პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია კომისიის შექმნის მიზანი -ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლისათვის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. კომისიის დასკვნის პირველ მუხლში კომისიამ დაადგინა, რომ „ვინაიდან საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად აღმოჩნდა 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების დანართში და მას კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი განესაზღვრა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" საქართველოს 25.06.1999 წლის კანონის მე-16 მუხლის, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის აშკარა დარღვევით, მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს, რათა გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები ზემოაღნიშნული კანონდარღვევების აღმოსაფხვრელად". აღნიშნულმა რეკომენდაციამ თავის მხრივ ასახვა ჰპოვა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებაში, რომლის გამოცემის სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 და 62-ე მუხლები. აღნიშნულ ბრძანებას საფუძვლად არ დასდებია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი. მოცემული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი შეფასებით დასტურდება, რომ მოხდა არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა მისი განადგურების ან დაზიანების გამო, არამედ სამინისტრომ შეაფასა იმ ადმინისტრაციული აქტის კანონშესაბამისობა, რომლის საფუძველზეც, „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" მიენიჭა უძრავი ძეგლის სტატუსი.

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლი ითვალისწინებს იმ შემთხვევას, როდესაც კანონშესაბამისად მოხდება ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭება, მაგრამ დროთა განმავლობაში ის ისე დაზიანდება ან განადგურდება, რომ დაკარგავს იმ ისტორიულ, კულტურულ ღირებულებებსა და მახასიათებლებს, რის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დარგის ექსპერტებისა და სპეციალისტების მიერ შესაბამისი დასკვნის დადება, ვინაიდან საკითხი ეხება არა ძეგლის სტატუსის სამართლებრივ, არამედ მის შინაარსობრივ მხარეს და ექსპერტების მიერ ფასდება ძეგლის კულტურული და ისტორიული ღირებულება და არა იმ დოკუმენტების

კანონშესაბამისობა, რის საფუძველზეც განხორციელდა სტატუსის მინიჭება. ასეთ შემთხვევებში, ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა, თავისი სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად მისთვის სტატუსის მინიჭების შესახებ ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას უთანაბრდება. აღნიშნული ფაქტობრივი მოცემულობა, არ შეიძლება შევადაროთ იმ შემთხვევას როდესაც ხდება უკანონოდ გამოცემული აქტის ბათილად ცნობა, ვინაიდან ორივე შემთხვევა განსხვავებულია და კანონმდებლობა სხვადასხვანაირად არეგულირებს. აქტის ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი კრიტერიუმები ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსშია მოცემული და ის არ ითვალისწინებს უკანონო აქტის ბათილად ცნობისთვის აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს სისტემაში სპეციალური ორგანოს შექმნასა და მისი დასკვნის სავალდებულოობას. მხოლოდ ის გარემოება, რომ კომისიამ თავის დასკვნაში სამართლებრივ გარემოებებთან ერთად მიმოიხილა ობიექტთან დაკავშირებული ყველა, მათ შორის არქეოლოგიური, ტექნოლოგიური, გეოლოგიური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტები, არ ქმნის საფუძველს დავასკვნათ, რომ კომისიამ შეითავსა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს ფუნქცია. მოცემული გარემოებების შეფასებისას სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა სამ ძირითად ფაქტზე: 1. კომისია შეიქმნა ობიექტისთვის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლისა და რეკომენდაციის შემუშავების მიზნით; 2. კომისიამ დაადგინა, რომ სტატუსის მინიჭება მოხდა კანონდარღვევით და მინისტრს მისცა რეკომენდაცია ისინი აღმოეფხვრა; 3. მინისტრის სადავო ბრძანების სამართლებრივი საფუძველი გახდა არა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17, არამედ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლი. აღნიშნული ფაქტების ერთობლივი, სწორ სამართლებრივ ჭრილში, შეფასებით სასამართლო მივიდოდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას მინისტრი და კომისია მოქმედებდა კანონმდებლობის შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლო განჩინების 4.30. პუნქტიდან 4.34. პუნქტის ჩათვლით მითითებას აკეთებს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 - მე-7 პუნქტებზე და ასკვნის, რომ მართალია საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება მოხდა კანმდებლობით დადგენილი პროცედურების დარღვევით, მაგრამ ვინაიდან სამინისტროს ფუნქციონალურ ვალდებულებებს წარმოადგენს: კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე ზედამხედველობა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა და დაცვა, სამინისტროს არ უნდა დაეტოვებინა ძეგლი ყოველგვარი სამართლებრივი რეგულაციების მიღმა და თუ კი ვერ ხდებოდა ობიექტის რაობის სრულყოფილი განსაზღვრა სამინისტროს უნდა ემსჯელა ობიექტის დროებით კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში შეტანის შესაძლებლობაზე. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ აღნიშნული მსჯელობაც მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან ადგილი აქვს ფაქტობრივი გარემოებების არასწორ სამართლებრივ შეფასებას და აღნიშნული მსჯელობა არ შეიძლება გახდეს აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. უპირველეს ყოვლისა სასამართლოს აღნიშნული დასკვნა გამოაქვს იქედან გამომდინარე, რომ არ მოახდინა ორი სხვადასხვა სამართლებრივი ფაქტის - „ძეგლისთვის სტატუსის მოხსნისა" და „უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის" ერთმანეთისაგან გამიჯვნა და ეს ორი ფაქტი გააიგივა, რაც მცდარია. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 - მე-7 პუნქტები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ ხდება ობიექტის რაობის განსაზღვრა და მის ისტორიულ ან კულტურულ ღირებულებასთან დაკავშირებული მონაცემები გადამოწმებას საჭიროებს. ადმინისტრაციული წარმოება, რომელსაც ახორციელებდა მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია, ეხებოდა არა

ობიექტის რაობის განსაზღვრას, არამედ 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების ნაწილის კანონშესაბამისობის საკითხს, რისი შესწავლის შედეგადაც იქნა გადაწყვეტილება მიღებული. არც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და არც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონი არ ავალდებულებდა სამინისტროს, იმავე ადმინისტრაციული წარმოების პირობებში შეეტანა საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში, ვინაიდან „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს მინისტრის უფლებამოსილებას და გადაწყვეტილების მიღებისას მინისტრი კონკრეტული ვადებით შეზღუდული არ არის. ამასთან აღნიშნული ქმედების განხორციელება კანონდარღვევა იქნებოდა, ვინაიდან ობიექტის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში შეტანა საჭიროებს მინისტრის სათათბირო ორგანოს - საბჭოს დასკვნას, ხოლო ადმინისტრაციულ წარმოებას არა საბჭო, არამედ მინისტრის ბრძანებით შექმნილი კომისია ახორციელებდა. არც ობიექტის „ყოველგვარი სამართლებრივი რეგულაციების მიღმა დატოვება" შეესაბამება სიმართლეს, ვინაიდან საყდრისი-ყაჩაღიანის ობიექტი წარმოადგენდა არქეოლოგიურ ობიექტს, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად და მასზე შესაბამისი დაცვითი რეჟიმი მოქმედებდა. ამასთან ბრძანების მე-5 მუხლით განისაზღვრა რომ ობიექტის შესწავლა უნდა გაგრძელებულიყო 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

სააპელაციო სასამართლომ განჩინების 4.35.-4.38. პუნქტებში მითითება გააკეთა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევაზე და ჩათვალა, რომ სამინისტროს სადავო აქტის გამოცემისას არ გამოუკვლევია საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. კერძოდ „ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუთხოვია ინფორმაცია შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოდან იმის შესახებ, წარდგენილ იქნა თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამინისტროში მოსაზრებანი ძეგლისთვის კატეგორიის განსაზღვრის თაობაზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების მე-3 პუნქტის დავალების შესაბამისად". მოცემულ შემთხვევაში აბსოლუტურად დაუსაბუთებელია სასამართლოს პოზიცია, იქედან გამომდინარე რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანებით მოხდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის N3/133 ბრძანების ნაწილობრივ გათილად ცნობა, რაც გულისხმობდა ამ ბრძანების გამოცემის პერიოდამდე არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის ანალიზს და გაუგებარია რატომ უნდა გამოეკვლია სამინისტროს ბრძანების გამოცემის შემდგომი პერიოდის ფაქტი, რომელსაც საკითხის გადაწყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა.

უპრეცედენტოა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, წარმოადგენს „გარემოსდაცვით საკითხს, რაც განმარტებულ უნდა იქნეს იმდაგვარად, რომ კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, ნებისმიერ პირს (საქართველოს მოქალაქეს) გააჩნია უფლება გაასაჩივროს შესაბამისი სამინისტროს მიერ საკითხზე მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება." მოცემული მსჯელობით სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად ახალი განმარტება მისცა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ „დაინტერესებული მხარის" ცნებას, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები მიაკუთვნა გარემოსდაცვით საკითხს და გააკეთა დამვება ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ნებისმიერ ძეგლთან დაკავშირებული ნებისმიერი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ. ცნობისთვის, საქართველოში დღევანდელი მდგომარეობით არსებობს 7 ათასზე მეტი მხოლოდ უძრავი ძეგლი, რომელთა

შესახებაც სხვადასხვა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიიღება ათასობით გადაწყვეტილება (სტატუსის განსაზღვრა, ზონის დადგენა, ძეგლზე სამუშაოების ნებართვის გაცემა და ა.შ.) და სასამართლოს დაშვება, რომ მილიონობით ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილებები საერთოდ აზრს უკარგავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ „დაინტერესებული მხარის" ცნებას და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონისმიერ ბოჭვის პრინციპის გამოყენებას, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმიერ პირს ექნება უფლება გაასაჩივროს მოცემულ სფეროში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარი განმარტება, არსებითად ეწინააღმდეგება სამართლებრივ თეორიასა თუ პრაქტიკაში აქამდე არსებულ განმარტებებს და სამინისტროს მიაჩნია, რომ მოცემული საკითხის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვა, უმნიშვნელოვანესია შემდგომი სასამართლო პრაქტიკის განვითარებისთვის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელი დასაშვებია თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე მოსარჩელის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის აუცილებელია არსებობდეს რამდენიმე პირობის ერთობლიობა: 1. უნდა არსებობდეს მხარის რეალური, ფაქტობრივი ინტერესი რომელზეც გავლენას ახდენს გასაჩივრებული აქტები; 2. ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ უნდა გამომდინარეობდეს კანონმდებლობიდან და იგი კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული. სამინისტროს მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არცერთი პირობა, რომელთა არსებობაც აუცილებელია მოსარჩელეების დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის. მართალია როგორც საქართველოს კონსტიტუციით ასევე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილია, რომ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება აქვთ ფლობდნენ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ვალდებულება უზრუნველყონ მისი დაცვა და შენარჩუნება, თუმცა აღნიშნული არ შეიძლება განიმარტოს ისე, თითქოს ნებისმიერ პირს აქვს უფლება გაასაჩივროს ამ სფეროში სამინისტროს ან სააგენტოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება. სადავო საკითხთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ფართო საზოგადოების მიერ გასაჩივრების წესს საქართველოს კანონმდებლობა არ სცნობს, ხოლო თითოეული ფიზიკური და იურიდიული პირის დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის აუცილებელია არსებობდეს რეალური და ფაქტობრივი ინტერესი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" ორჰუსის კონვენცია არ წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს მოსარჩელეების დაინტერესებულ მხარედ მიჩნევისთვის. აღნიშნული კონვენციის პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია მისი მიღების მიზანი, კერძოდ „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაბამის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლების გარანტიას". ორჰუსის კონვენცია, მისი მიზნიდან გამომდინარე ეხება საზოგადოების ჩართულობას გარემოსდაცვითი, ეკოლოგიური

გადაწყვეტილებების მიღებისას, რათა დაცული იყოს მოქალაქეთა ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, ვინაიდან გარემოს დაცვის სფეროში ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების ჩართულობა ამაღლებს გადაწყვეტილების მიღებისა და მისი განხორციელების ხარისხს. გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიმღებ ორგანოს, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის N98 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, წარმოადგენს არა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, არამედ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კონვენციით მოწესრიგებული ურთიერთობები, მოიცავს ხელისუფლების მიერ მმართველობითი ფუნქციების განხორციელებისას მოწესრიგებულ სრულიად სხვა, გარემოს დაცვის სფეროს და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიძლება მივაკუთვნოთ ორჰუსის კონვენციით რეგულირებად ურთიერთობებს და მოვაქციოთ მის ჩარჩოებში.

სააპელაციო სასამართლომ, გადაწყვეტილებაში საერთოდ არ შეაფასა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 დეკემბრის N03/266 ბრძანება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილი იყო სასამართლოში საქმისწარმოების დროს. მოცემული ბრძანების პირველი პუნქტით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის N03/108 ბრძანება, რომლის ბათილად ცნობას (თანამდევ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან ერთად) ითხოვდნენ მოსარჩელეები. შესაბამისად სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას არ არსებობდა დავის საგანი, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა!" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას თუ არ არსებობს დავის საგანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი ასეთი მოცემულობის არსებობის დროსაც ითვალისწინებს სასამართლოში დავის გაგრძელებას, იმ შემთხვევაში თუ კი არსებობს მხარის კანონიერი ინტერესი. ასეთი ინტერესის არსებობა, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით დასაბუთებული უნდა იყოს მოსარჩელის მიერ, რაც ფაქტობრივად არ მომხდარა, თუმცა მიუხედავად ამისა სააპელაციო სასამართლომ მაინც გამოიტანა გადაწყვეტილება აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამავე დროს სამინისტროს დაევალა საკითხის შესწავლა და ახალი აქტის გამოცემა იმ პირობებში, როდესაც საკითხის ხელახლა შესწავლა ზემოაღნიშნული ბრძანებითა და სხვა აქტებით (რაც ამ ბრძანების საფუძველს წარმოადგენს) მოხდა დეტალურად ყველა ფაქტობრივი გარემოებისა თუ სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით და სასამართლო დავის მიმდინარეობის პერიოდში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ" მოცემულ საკითხზე გამოსცეს ახალი აქტები შესაბამისი არქეოლოგიური, გეოლოგიური დასკვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს გადაწყვეტილების გათვალისწინებით. შესაბამისად გაუგებარია ამ ახალი აქტების არსებობის პირობებში, რომლებიც ამ სასამართლოს შესწავლის საგანი არ ყოფილა, დამატებით რა უნდა შეისწავლოს სამინისტრომ.

pretenzia faqtobriv garemoebebze

შენიშვნა-15 *შენიშვნა-16*

1. პრეტენზია

დასაბუთება:

2. პრეტენზია

დასაბუთება:

3. პრეტენზია

დასაბუთება:

Suamdgomlobebi

შენიშვნა-17 *შენიშვნა-18*

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

....

saCivris fasi — lari
შენიშვნა-19

saxelmwifo baJi — lari
შენიშვნა-20

სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესი
სახელმწიფო ბაჟი შეიტანება სახელმწიფო ბიუჯეტში, ხაზინის ერთიან ანგარიშზე:
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: 200122900 (იხ. სახაზინო კოდები)

1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? დიახ ☒ არა ☐
რომელი ნორმა? სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი
მტკიცებულება:
2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? დიახ ☐ არა ☐
რის საფუძველზე?
მტკიცებულება:
შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე (მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სსკ-ის 53-ე და 54-ე მუხლების თანახმად, როგორ უნდა განაწილდეს სასამართლო ხარჯები. თქვენი განცხადება სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების შესახებ).
5.

SeniSvna-21

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის. სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია: » რთულადგანჭვრეტადი შედეგი; » ხანგრძლივი სასამართლო პროცესი; » სასამართლო ხარჯები; » სასამართლოსგარეშე ხარჯები; » ყოველდღიური ხარჯები.

Tanaxma xarT Tu ara, rom saqme daamTavroT morigebiT?

diax ☐ მორიგების პირობები:

ara ☐ რადგან

შენიშვნა-22

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

diax ☐

ara ☒ რადგან

შენიშვნა-23

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე

დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

TandarTuli sabuTebis nusxa

შენიშვნა-24 *შენიშვნა-25*

დანართი 1:

დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა:

....

sakasacio saCivris formaluri gamarTuloba

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მოხელე აძლევთ საკასაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ სებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს საკასაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მისი მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

		დიახ	არა
1.	მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ საკასაციო საჩივარი.	☒	☐
2.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის სახელი, გვარი (სახელწოდება), პირადი (საიდენტიფიკაციო) ნომერი და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი).	☒	☐
3.	მითითებულია თქვენი (კასატორის), თქვენი (კასატორის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი.	☒	☐
4.	მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები	☒	☐
5.	მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება.	☒	☐
6.	მითითებულია, თუ გადაწყვეტილება რა ნაწილშია გასაჩივრებული.	☒	☐
7.	მითითებულია საკასაციო მოთხოვნა.	☒	☐
8.	მითითებულია საკასაციო საჩივარზე თანდართული სამუოების ნუსხა.	☒	☐
9.	საკასაციო საჩივარს ერთვის თანდართული სამუოების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი.	☒	☐
10.	საკასაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე.	☒	☐
11.	საკასაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს).	☒	☐
12.	საკასაციო საჩივარი ხელმოწერილია.	☒	☐
13.	საკასაციო საჩივარი და თანდართული სამუოები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.	☒	☐

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის

საკასაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია: ☐	საკასაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული: ☐ *პუნქტების რაოდენობა*	*ხელმოწერა*	*სახელი და გვარი*

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე — თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	თეიმურაზ მეშველიანი	17/04/2015 წ.
ხელმოწერა	ხელმოწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-26